**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით**

**ეთიკის კომისიის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ**

**მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ია გაბედავა: კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი: კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი: კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორები:** შპს-ს ყოფილი თანამშრომლები: ს. ს., მ. მ., ს. ქ., ნ. ი., ე. ა., ი. პ., ლ. მ., გ. ლ., თ. ჩ., გ. ჩ., თ. კ., გ. ჩ., შ. კ..

**საჩივრის ავტორთა წარმომადგენელი:** ს. ს.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 10.08.2018

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 113/18

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ მ. თ.-ს მიმართ /სიითი№..../

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ მ. თ.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საჩივრით მომართეს შპს-ს თანამშრომლებმა და მოითხოვეს ადვოკატ მ. თ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორებთა განცხადებით, ადვოკატი მ. თ. არის შპს-ს ფაქტიური (მინდობილი) დირექტორი 2018 წლის თებერვლის თვიდან. თანამდებობის დაკავების შემდეგ, მ. თ.-მა სამსახურიდან გაათავისუფლა შპს-ს დაახლოებით 20 თანამშრომელი საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით: მათთვის არ აუნაზღაურებია გადასახდელი ხელფასები და ასევე არ გაუცია კომპენსაცია გათავისუფლების სანაცვლოდ. საჩივრის ავტორთა

განმარტებით, მ. თ.-მა კომპანიის ყოფილ ბუღალტერს ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე დააბრალა თანხების გაფლანგვა, ასევე კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მიმართ სცადა ფიზიკური დაპირისპირება.

1.3 საჩივრის ავტორებთა განცხადებით, ადვოკატი მ. თ. აშანტაჟებს კომპანიის ყოფილ თანამშრომლებს და ეუბნება, რომ მათ კომპანიაში გარკვეული თანხა უნდა შეიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში უჩივლებს.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

ეთიკის კომისიის აპარატმა ადვოკატ მ. თ.-ს 2018 წლის 04 სექტემბერს ჩააბარა შპს-ს ყოფილი თანამშრომლების საჩივარი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიან სიაში არსებულ მისამართზე: და ახსნა-განმარტების წარმოსადგენად ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განუსაზღვრა 7 დღის ვადა. ადვოკატმა მ. თ.-მა არ წარმოადგინა ახსნა-განმარტება ეთიკის კომისიის აპარატის მიერ განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად მოცემულ საჩივარზე ადვოკატის პოზიცია უცნობია ეთიკის კომისიისათვის.

## II სამოტივაციო ნაწილი

**3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი მ. თ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№..../, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 შპს-ს ყოფილმა თანამშრომლებმა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2018 წლის 10 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

**4. შემაჯამებელი დასკვნა**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. თ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

**5. სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორების პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. თ.-მა, მას შემდეგ, რაც დაინიშნა შპს-ს დირექტორად, თანამშრომლები გაათავისუფლა სამსახურიდან უკანონოდ, არ გადაუხადა დარჩენილი ხელფასი და არ მისცა კომპენსაცია მათ. ასევე, ადვოკატი დღემდე

ახორციელებს ყოფილი თანამშრომლების მიმართ შანტაჟს და ითხოვს კომპანიისათვის გარკვეული თანხების ჩარიცხვას.

5.2 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა კომპანიის ყოფილი თანამშრომელის პრეტენზიები ადვოკატ მ. თ.-ს მიმართ და დაადგინა, რომ საჩივარში მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი მოქმედებდა როგორც კომპანიის დირექტორი და არ ახორციელებდა პროფესიულ, საადვოკატო უფლებამოსილებას.

5.3 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატისათვის დადგენილი პროფესიული რეგულაციები მოქმედებს ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს. ვინაიდან სადავო მოქმედებების განხორციელებისას, მ. თ. მოქმედებდა როგორც კომპანიის დირექტორი, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ადვოკატის სტატუსი, მასზე არ ვრცელდება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის რეგულაციები, რადგან არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას.

5.4 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.” საპროცესო კოლეგია ხელმძღვანელობს ზემოხსენებული დებულების მე-9 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით და მ. თ.-ს მიმართ წყვეტს დისციპლინურ წარმოებას.

## III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-6 მუხლით, მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-19, მე-20, 27-ე, 28-ე, 31-ე, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №113/18 ადვოკატ მ. თ.-ს მიმართ /სიითი№..../ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/